ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 225

ქალაქი ქუთაისი 25 სექტემბერი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 28 დეკემბრის №5/71171, 2019 წლის 7 მარტის №5/13865 და 2019 წლის 16 ივლისის №5/42342 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩის №55-ში მდებარე (ყოფილი ლუქსემბურგის ქუჩა), №03.01.22.373 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2925.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობები: №1 – №6.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ, უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია